

საპენსიო დანაზოგების ინვესტირება ფასიან ქაღალდებში მოხდება



საპენსიო ფონდის პრინციპების მიხედვით, საპენსიო დანაზოგების ინვესტირება ყველაზე საიმედო ფასიან ქაღალდებში მოხდება. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულაძემ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური

პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, ეს არის ფასიანი ქაღალდები, რომელთა საიმედოობა პრაქტიკულად არის სუვერენულ დონეზე და ეს ნიშნავს, რომ ამ ფასიანი ქაღალდების გაუფასურების რისკი პრაქტიკულად, ნულის ტოლია.

„პრაქტიკულად, ასეთი სისტემა სხვაგან არ არსებობს. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოს არ შეაქვს საპენსიო ფონდში დამატებითი პროცენტი და თანხას დაქირავებულს ახდევინებს. ჩვენ კიდევ უფრო წინ წავდით, მეტი ანგარიში გავუწიეთ ჩვენს მოსახლეობას და სახელმწიფოს შეაქვს კიდევ ორი პროცენტი ყველა მოსახლეზე. ეს არის უპრეცედენტო, ძალიან სასარგებლო რეფორმა“, – განაცხადა გიორგი ქობულაძემ.

მინისტრმა აღნიშნა, რომ დღეს მოსახლეობის თანხები არის სადეპოზიტო ანგარიშებზე, რომლის სარგებელიც ინფლაციაზე ბევრად მეტია.